



შენაბავისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბედიშვილი”

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მაგრიკიშვილი

“ 18 ” 07 “ 2018 წელი

N 44/36

ეგზ: N1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
2016-2017 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
რეკომენდაციები.....	5
შესავალი	9
ნაშთის ცვლილება	14
ძირითადი ტექსტი.....	16
1. საბიუჯეტო ხარვეზები	16
1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება.....	16
1.2 საბიუჯეტო განაცხადების გაგზავნა.....	16
1.3 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიღება.....	17
2. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.....	18
2.1 საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება.....	18
2.2 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა	19
2.3 წარმომადგენლობითი ხარჯები	21
3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	23
3.1 დაუსრულებელი პროექტები	23
3.2 გზის რეაბილიტაცია.....	32
3.3 გზების მოხრეშვითი სამუშაოები	35
3.4 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	36
4. შესყიდვების მართვა.....	40
4.1 სამუშაოების დასრულების ვადის უსაფუძვლო გაზრდა	40
4.2 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია	42
4.3 საგარანტიო ვადის ცვლილება.....	45
5. იურიდიული პირების სუბსიდიით დაფინანსება	47
6. სოციალური პროგრამები.....	50
7. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხები	52
8. შიდა აუდიტი.....	54
9. ჭიათურის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა.....	56
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	56

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ამდენად, მერიის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეულია არაგონივრული ხარჯი.
- მუნიციპალიტეტის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გაწეულ ხარჯებზე, ვერ დგინდება ჩატარებული ღონისძიებების დასახელება, სტუმრობის მიზანი, სტუმართა და მასპინძელთა ოდენობა და სხვა მონაცემები. შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული.
- მუნიციპალიტეტში სამუშაოების მიღება-ჩაბარების ეტაპზე არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამორიცხავს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარებას. კერძოდ, შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ხოლო ექსპერტიზა შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის გამოკვლევის მიზნით ჩატარებული არ არის. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელიც საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს.
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტების დასრულება და ფუნქციონირება, რადგან არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომელთაც შესაძლოა ხელი შეეშალა პროექტების წარმატებით განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისთვის გადახდილია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, ობიექტები უფუნქციოა და

მის დასასრულებლად საჭირო სამუშაოების ჩატარება არც მომდევნო წელს არ იგეგმება.

- მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შემენილი მასალების დიდი ნაწილი გაუხარჯავი და დასაწყობებულია. მერიამ ვერ უზრუნველყო შესყიდული მასალების ხარჯვისა და გამოყენების კონტროლი. შედეგად, პროექტები დაუსრულებელია და არ არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები.
- მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ განხორციელებულა და მისი გამოყენება არც მომდევნო წელს დაგეგმილა. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ, გამოუყენებელ საპროექტო დოკუმენტაციაზე გადახდილი თანხა ამ ეტაპისათვის წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.
- მუნიციპალიტეტმა რამდენიმე ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები გაზარდა არაობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მერიამ არ გამოიყენა საჯარიმო სანქციები და დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული რამდენიმე იურიდიული პირი ეწევა ერთმანეთის იდენტურ საქმიანობას. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულების საჭიროება. შედეგად, ამ დაწესებულებებზე ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა, შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც არაპროდუქტიულად გაწეული ხარჯი.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის საჭიროებები და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების დროულ მოგვარებას.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაწერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №4: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელება მერიის თანამშრომელთა ვალდებულებაა. იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, შრომითი რესურსის არასათანადო კვალიფიკაციის გამო, მიზანშეწონილია მერიამ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის საკრებულომ, აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. ამასთანავე, არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში, ხარჯების დაგეგმვისას მერიის შესაბამისმა სამსახურებმა პირველ რიგში გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მუნიციპალიტეტმა აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე დასაწყობებული მასალები. შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლოატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს მათი გამოყენების მიმართულებები. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა (პასუხისმგებელმა პირებმა) შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროექტების ჩაბარებასა და მის სწორ ექსპლოატაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას მის საკუთრებაში არსებული ქონება და ამ მიზნით უნდა შეისწავლოს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ამასთან მნიშვნელოვანია დაინერგოს შესრულებულ პროექტებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და

პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №9: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით, გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შედეგად, დროულად მოხდება იმ პროდუქტის მიღება, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №10: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი, არადისკრიმინაციული მიდგომა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა დაწერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №11: მუნიციპალიტეტმა დაწერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი გარანტიების მოქმედებების ვადების აღრიცხვას. მნიშვნელოვანია, გარანტიის მოქმედების ვადა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას. მიმწოდებლისათვის სამუშაოების დასრულების ვადის გახანგძლივების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა მოითხოვოს გარანტიის მოქმედების ვადის გაზრდა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას მუნიციპალიტეტმა არ დაკარგოს მისაღები შემოსავლები.

რეკომენდაცია №12: მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის საკუთრებაში არსებული იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულებების საქმიანობა და განსაზღვროს ფინანსური რესურსების დაზოგვით შესაძლებელია თუ არა იგივე შედეგის მიღწევა.

რეკომენდაცია №13: მუნიციპალიტეტმა ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია უზრუნველყოს სხვადასხვა ორგანიზაციებზე გაცემული გარანტიების აღრიცხვა. ვალდებულების აღებამდე შეამოწმოს ფლობს თუ არა გარანტიის

გასაცემად საკმარისი ფინანსურ რესურსებს. არასაკმარისი ფინანსური რესურსების შემთხვევაში, ხარჯის გაწევის საჭიროებიდან გამომდინარე დროულად მოახდინოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში ცვლილების შეტანა.

რეკომენდაცია №14: მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია სათანადოდ განსაზღვროს თანხის გამოყოფის რეალური საჭიროება. იმ შემთხვევაში თუ სტიქიის შედეგები საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში სათანადო ღონისძიებების განხორციელება. ამ მიზნით, შეიმუშაოს სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს დროულად გამოასწოროს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები.

რეკომენდაცია №15: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დროულ რეაგირებას და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯოს ეფექტიანად და კანონიერად. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

შესავალი

აუდიტის საგანი და სახეობა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი, კრიტერიუმი და მასშტაბი

აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვა აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 35 369.4 ათასი ლარი.

აუდიტის სტანდარტი

აუდიტორული პროცედურები ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორული პროცედურები ჩატარდება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას, აუდიტის საგნის შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები¹

- საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

¹ 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი
- საქართველოს კანონი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის-„სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“.
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტები და სხვ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ჭიათურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 16 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 60 სოფელს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ფართობია 542 კვ კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 39.8 ათასს კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ჭიათურა. ჭიათურის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ბიუჯეტი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2013 წლიდან პროგრამულად იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული. მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და

² www.geostat.ge, www.reestri.gov.ge, www.budgetmonitor.ge.

არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. ბიუჯეტის პროექტთან ერთად, მუნიციპალიტეტი ადგენს პრიორიტეტების დოკუმენტს, რომლითაც პარალელურად იგეგმება პროგრამების განხორციელებით მოსალოდნელი შედეგები და ის ინდიკატორები, რითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად³, წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების /ქვეპროგრამების აღწერა და მიღწეული შედეგები აისახება ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი 2016-2017 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები აღნიშნულ მონაცემებს არ შეიცავს. გარდა ამისა ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტები არ შეიცავს პროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებს არ მიეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვით მიღებული შედეგის შესახებ, პროგრამების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლების შემოსულობები ჯამში დაგეგმილი იყო 35 459.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 37 865.0 ათასი ლარი (106.7%). გადასახდელები ჯამში დაიგეგმა 38 756.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 35 369.4 ათასი ლარი შეადგინა (91.2%). გადასახდელების შემცირება გამოწვეულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობითა და სატენდერო ეკონომიების შედეგად.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები 2016-2017 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2016	2017	სულ
შემოსულობები	17754.9	20110.1	37865.0
შემოსავლები	17655.4	20042.7	37698.1
არაფინანსური აქტივების კლება	99.5	67.4	166.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0

³ მუხლი 87.

გადასახდელები	18622.1	16747.3	35369.4
ხარჯები	11404.6	10567.1	21971.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7153.0	6148.1	13301.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	64.5	32.1	96.6
ნაშთის ცვლილება	-867.2	3362.8	2495.6

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერები. კერძოდ, 2016 წელს გრანტებმა შემოსულობების 63% , ხოლო 2017 წელს - 41% შეადგინა.


ცხრილი №2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები 2016-2017 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2016	2017	სულ
გრანტები	11196.4	8195.5	19391.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	6575.3	5225.3	11800.6
მიზნობრივი ტრანსფერი	232.0	232.0	464.0
კაპიტალური ტრანსფერი	4369.0	2738.2	7107.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	20.1	0.0	20.1

2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტები ითვალისწინებს 6 პროგრამისა და ამ პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების დაფინანსებას. დაფინანსების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამა - 15 012.4

ათასი ლარი⁴. საბიუჯეტო ასიგნების პროგრამებს შორის გადანაწილება მოცემულია დიაგრამაზე №1.

დიაგრამა №1. 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გადასახდელები ბიუჯეტის პროგრამების მიხედვით (ათასი ლარი)



ნაშთის ცვლილება

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჭიათურის მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 2 092.4 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2016 წლის ბიუჯეტით. 2016 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების კლებამ შეადგინა 867.2 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 1 225.2 ათასი ლარი, მათ შორის თავისუფალი ნაშთი 1 119.5 ათასი ლარი (2016 წლის თავისუფალი ნაშთი მოიცავს 466.0 ათას ლარს, რომელიც წარმოადგენს 16 დეკემბერს მიღებულ მიწის გადასახადს. აღნიშნული გადასახადი არ იყო დაგეგმილი და წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია). 2017 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატება) შეადგინა 3 362.8 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა - 4 588.0 ათასი ლარი, მათ შორის თავისუფალი ნაშთი 3 221.0 ათასი ლარი. (2017 წლის თავისუფალი ნაშთი მოიცავს 1 724.0 ათას ლარს, რომელიც წარმოადგენს 25-29 დეკემბერს მიღებულ სათამაშო ბიზნესისა და წიაღით სარგებლობის მოსაკრებელს. აღნიშნული შემოსავლები არ იყო დაგეგმილი და წინა წლის იმავე მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია).

⁴ 2016 წელს 7 722.1 ათასი ლარი და 2017 წელს 7 290.3 ათასი ლარი

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხებოდა 2007-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 610.3 ათასი ლარი. მათ შორის, 2013-2017 წლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად - 340.2 ათასი ლარი; 2013-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ - 99.1 ათასი ლარი; 2007-2012 წლებში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად - 21.0 ათასი ლარი; 2017 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ - 150.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების დროულად განხორციელება და სათანადოდ ვერ დაგეგმა თავისუფალი ნაშთის გამოყენება. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე. შედეგად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ სიკეთით, რაც შესაძლოა მიწოდებულ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დროული და ეფექტიანი გამოყენებით.

რეკომენდაცია №1: მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის საჭიროებები და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების დროულ მოგვარებას.

ძირითადი ტექსტი

1. საბიუჯეტო ხარვეზები

1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობას თვითმმართველი ერთეული იწყებს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრულია წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და ვადები⁵.

გამოვლენილი გარემოება: ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა 2016-2017 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა დოკუმენტურად ვერ დაასაბუთა რა სახის ინფორმაცია და მონაცემები იქნა მოთხოვნილი საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად. შედეგად, დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

1.2 საბიუჯეტო განაცხადების გაგზავნა

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას, საფინანსო სამსახურმა საბიუჯეტო ორგანიზაციებს უნდა დაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადები ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით⁶.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილ საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში არ არის მითითებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ასიგნებები და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები დგინდებოდა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე. შედეგად, დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 76, პუნქტები 3-4.

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 77, პუნქტი 3.

1.3 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიღება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით⁷.

გამოვლენილი გარემოება: ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 3 თებერვალს №1 დადგენილებით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით 2017 წლის ბიუჯეტის მიღება განხორციელდა 2016 წლის 23 დეკემბერს №23 დადგენილებით, თუმცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის მიერ ჩატარებული, საკრებულოს დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ დადგენილების სტრუქტურა არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს, რის გამოც აუცილებელი გახდა ბიუჯეტის მეორედ მიღება.

ამდენად, მუნიციპალიტეტში არ არის გამოცემული პრიორიტეტების დოკუმენტის მოსაშზადებლად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში არ არის მითითებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია, ასევე 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. საბიუჯეტო პროცესში არსებული დარღვევები, შესაძლებელია გამოწვეული იყოს არსებული კონტროლის სისუსტეებით და საჭიროებდეს თანამშრომლების გადამზადებას.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 78, პუნქტი 2.

2. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.1 საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁸, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁹, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები 2016-2017 წლებში გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის¹⁰ შესაბამისად. დადგენილი წესის მიხედვით, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად განისაზღვრა 397 ლარი. ამასთანავე, საკრებულოს წევრის მიერ მისაღები კონკრეტული თანხის მოცულობა დგინდება საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის, ამომრჩეველთან მუშაობის, საკრებულოს დავალებების შესრულების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ არსებული პრაქტიკა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ აუნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არა კომისიებისა და სხდომებში

⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი

¹⁰ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 სექტემბრის №30 დადგენილება.

მონაწილეობის საოქმო ჩანაწერები და ამომრჩევლების ხელმოწერით დადასტურებული შეხვედრების ოქმები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2016-2017 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 167.7 ათასი ლარი¹¹. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია საკრებულოს მომართვა საკრებულოს წევრზე ანაზღაურების გაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს.

ჭიათურის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 167.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

2.2 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები.

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის მნიშვნელოვან ფუნქციებსა და უფლებებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების

¹¹ 2016 წელს 85.7 ათასი ლარი, 2017 წელს 82.0 ათასი ლარი.

განწერა, ადგილობრივი საგადასახადო საინფორმაციო ბაზის შექმნა, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზი, კონტროლის განხორციელება ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე და სხვ.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტმა შპს „დაუ“-გან შეისყიდა საკონსულტაციო მომსახურება, ღირებულებით 8.8 ათასი ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „დაუ“-ს ევალებოდა ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია 2016-2017 წლების ბიუჯეტის პროექტის შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების შესახებ. გარდა ამისა, ევალებოდა ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ ცალკეულ ნორმატიულ აქტებზე საკონსულტაციო კომენტარებისა და განმარტებების მომზადება/მიწოდება და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შპს „დაუ“-ს მუნიციპალიტეტს ყოველთვიურად წარუდგენდა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების კრებულს, გარდა აღნიშნულისა მუნიციპალიტეტის თანამშრომლები საჭიროებიდან გამომდინარე მიმწოდებელთან გადიოდნენ ზეპირ კონსულტაციებს.

საკანონმდებლო სიახლეები ხელმისაწვდომია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გააჩნდეთ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და შეძლონ მათი საქმიანობაში გამოყენება. 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ სამსახურში დასაქმებულია 16 მოსამსახურე და მათზე გაცემული შრომის ანაზღაურება შეადგენს 330.8 ათას ლარს. აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობა არის კანონმდებლობის ცოდნა და მათი პრაქტიკაში განხორციელება. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ მომსახურებაზე გადახდილი 8.8 ათასი ლარი წარმოადგენს არაგონივრულ ხარჯს.

რეკომენდაცია №4: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელება მერიის თანამშრომელთა ვალდებულებაა. იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, შრომითი რესურსის არასათანადო კვალიფიკაციის გამო, მიზანშეწონილია მერიამ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო

მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

2.3 წარმომადგენლობითი ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის გადასახდელები ითვალისწინებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას და ზოგადად მოიცავს: მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების, საკონსულო მომსახურების, მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს. მოქმედი კანონმდებლობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ხარჯების გაწევის პროცედურა და მასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის შედგენა. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვის ვალდებულებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი ხარჯების მიზანშეწონილობა უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტმა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან, სტუმრების მასპინძლობისა და სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გახარჯა 43.8 ათასი ლარი. კერძოდ: 2016 წელს გაფორმდა 4 ხელშეკრულება, ღირებულებით 24.0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს - 20 ხელშეკრულება, ღირებულებით 19.8 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული შიდა ინსტრუქცია/წესი, რომლის მიხედვითაც თანხები დაიხარჯებოდა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით 2016 წელს ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ხდებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო 2017 წელს თანხების გამოყოფა ხდებოდა გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. საკითხის შესწავლით, გაირკვა, რომ 2016 წელს თანხები გახარჯულია 47 ღონისძიებაზე, თუმცა არ არის ცნობილი რა სახის ღონისძიებები გაიმართა, მათი საჭიროება, სტუმრების ვინაობა და რაოდენობა. 2017 წელს თანხები გახარჯულია 20 ღონისძიებაზე, რომლის დოკუმენტაციებში, აღნიშნულია ღონისძიებების დასახელება, თუმცა არ არის მითითებული ჩასატარებელი ღონისძიების საჭიროება, სტუმრობის მიზანი, სტუმრებისა

და მასპინძლების ოდენობა და სხვა მონაცემები. 2017 წელს თანხის გამოყოფის შესახებ ბრძანებებში, ხარჯის გაწევის მიზნად მითითებულია „ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დაფარვის მიზნით“.

შესაბამისად, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ გაწეული 43.8 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა დოკუმენტურად არ არის დადასტურებული.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის საკრებულომ, აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. ამასთანავე, არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში, ხარჯების დაგეგმვისას მერიის შესაბამისმა სამსახურებმა პირველ რიგში გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

3.1 დაუსრულებელი პროექტები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროების მოგვარება და ამ მიზნით დაგეგმილი პროექტების დასრულება.

შემენილი და გამოუყენებელი მასალები

2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვადასხვა სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შეისყიდა 513.4 ათასი ლარის სამშენებლო მასალები. მერიამ მასალების შესყიდვა დაგეგმა იმ მიზნით, რომ განხორციელებინა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა ან/და გაგრძელებინა წინა პერიოდში დაწყებული მშენებლობები. აღნიშნულ მასალებს მერია გადასცემდა სოფლის მოსახლეობას, რომლებსაც საკუთარი ძალებით უნდა შეესრულებინა სამუშაოები. კერძოდ, მუნიციპალიტეტის 44 სოფელში დაგეგმილი იყო სარიტუალო დარბაზების, სტადიონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, წისქვილის, სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია და სხვა.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2016-2017 წლებში მასალების გამოყენებით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა. შესწავლით ირკვევა, რომ შემენილი მასალების ნაწილი, ღირებულებით 216.6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია და შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოები არ განხორციელებია. მუნიციპალიტეტი პროექტის სრულყოფილად შესრულებისათვის ვალდებული იყო დაეწესებინა სათანადო კონტროლი შესყიდული მასალების ხარჯვაზე და გამოყენებაზე. მერიამ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ვერ უზრუნველყო, შედეგად პროექტები დაუსრულებელია და არ არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები.

ცხრილი №3. 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული და გამოუყენებელი მასალები

№	თემი	შესყიდული მასალა	ღირებულება		სულ 2016- 2017	მდგომარეობა
			2016 წ.	2017 წ.		

1	ითხვისი	წყლის მილი, ხის კოჭი, ცემენტი და სხვ.	0	5,7	5,7	დასაწყობებულია
2	მანდაეთი	თაბაშირმუყაო, შეკიდული პლასტმასი, გამანაწილებელი კოლოფი და სხვ.	5,4	0	5,4	დასაწყობებულია
3	ზოდი	ფიცარი, ცემენტი, ლითონბადე, მეტლახი, ჩამრთველი, ღორღი და სხვ.	7,1	15,0	22,1	დასაწყობებულია
4	წირქვალი	ღორღი, ცემენტი, მავთულბადე, ლითონის ფურცლოვანა, მიღები და სხვ.	4,7	15,3	20	დასაწყობებულია
5	პერევისა	ცემენტი, ღორღი, ქვიშა, ბლოკი, ფოლადის ფურცლოვანა და სხვ.	14,8	6,8	21,6	დასაწყობებულია
6	სარქველეთუბანი	სამკაპი, მილი, გადამყვანი და სხვ.	0	2,0	2	დასაწყობებულია
7	ხვაშითი	ქვიშა-ღორღი, ცემენტი, ფიცარი, არმატურა და სხვ.	1,9	12,8	14,7	დასაწყობებულია
8	წიგოზეთი	ქვიშა-ღორღი, ცემენტი, ხის კოჭი, თუნუქის შიფერი, მიღები და სხვა	11,1	7,8	18,9	დასაწყობებულია
9	კაცხი	ქვიშა-ღორღი, ცემენტი, ფიცარი, თუნუქის შიფერი და სხვ.	13,2	4,1	17,3	დასაწყობებულია
10	ქვაციხე	ქვიშა-ღორღი, ცემენტი, გაბიონის ბადე, მიღები და სხვ.	7,8	18,8	26,6	დასაწყობებულია
11	ვაჭევი	ქვიშა-ღორღი, ცემენტი, ფიცარი, პლასტმასის მილი და სხვ.	6,8	3,6	10,4	დასაწყობებულია
12	რგანი	პოლიეთილენის მილი	0	3,7	3,7	დასაწყობებულია
13	ხრეითი	პლასტმასის მილი	0	3,4	3,4	დასაწყობებულია
14	ქ. ჭიათურა	საიზოლაციო მასალა, ბიკროსტი	25	19,8	44,8	დასაწყობებულია
სულ			97,8	118,8	216,6	

მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გარდა აღნიშნული მასალებისა ნაშთად ერიცხება წინა წლებში შეძენილი და გამოუყენებელი მასალები. კერძოდ, 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გამოუყენებელი მასალების ნაშთი შეადგენს 744.1 ათას ლარს. აღნიშნული ნაშთი მოიცავს როგორც 2016-2017 წლებში შესყიდულ მასალების, ასევე 2016 წლამდე პერიოდში შეძენილი მასალების ღირებულებას.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით ნაშთად რიცხული მასალები დასაწყობებულია სოფლების მიხედვით სხვადასხვა ოჯახებში. გამომდინარე იქედან, რომ დასაწყობებული მასალების სრულად დათვალიერება მოითხოვდა დიდ დროით რესურსს, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომდგენლებთან ერთად ადგილზე შერჩევით დაათვალიერა მასალები. შედეგად გაირკვა, რომ მასალების ნაწილი გაფუჭებულია და უვარგისია გამოსაყენებლად, ხოლო ნაწილის ადგილსამყოფელი ვერ იქნა დადგენილი. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა შეისწავლეს არსებული ნაშთების მდგომარეობა. მათი განმარტებით, ნაშთად რიცხული მასალებიდან, გაფუჭებულია 10.7 ათასი ლარის მასალა, 216.0 ათასი ლარის მასალები გამოყენებულია, თუმცა არ არსებობს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, 65.7 ათასი ლარის მასალების ადგილსამყოფელი გაურკვეველია, ხოლო 451.7 ათასი ლარის მასალები დასაწყობებულია. რადგან აუდიტის ჯგუფის მიერ, არსებული ნაშთის სრულად დათვალიერება ვერ მოხერხდა, ხოლო დათვალიერებით გამოვლინდა გარკვეული დანაკლისები, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ნაშთების მდგომარეობის შესახებ არ ასახავდეს რეალობას. მასალების ხარჯვის კანონიერების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

წყლის სისტემის რეაბილიტაციის შესყიდვა

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა 10 სოფელში¹² წყლის სისტემის მოწყობისათვის შეისყიდა 43.1 ათასი ლარის მასალები. აღნიშნული მასალები მერიამ გადასცა სოფლის მოსახლეობას, რომლებსაც საკუთარი ძალებით უნდა შეესრულებინათ დაგეგმილი პროექტი. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ვალდებული იყო დაეწესებინა კონტროლი შესყიდული მასალების დროულ გამოყენებასა და პროექტის წარმატებით დასრულებაზე. აღსანიშნავია, რომ მასალების ხარჯვაზე მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგია ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების ხარისხიან შესრულებას, რადგან

¹² სოფელი მელუშეთი, რგანი, ჯოლხეთი, წინსოფელი, ღვითორი, თაბაგრები, ზედა რგანი, ჭალოვანი, ზოდი, ხალიფაური.

მოსახლეობას არ გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება ამ სამუშაოების განსახორციელებლად.

აუდიტის ჯგუფმა 26-27-28 მარტს, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სოფლებში, წყლის სისტემა არ არის მოწყობილი, ხოლო შესყიდული მასალები გამოუყენებელი და დასაწყობებულია.

სურათი №1. სოფ. მელუშეთი



სურათი №2. სოფ. წინსოფელი



გარდა აღნიშნული სოფლებისა, 2016 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა სოფელ საკურწეში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. პირველ ეტაპზე მერიამ 2016 წელს შეიძინა წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 105.5 ათასი ლარი¹³. მომდევნო ეტაპზე, 2017 წელს მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემის მოსაწყობად (დაქსელვისათვის) შეიძინა მილები, ღირებულებით 6.7 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა 26 მარტს, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ წყლის სისტემის მოწყობა დასრულებული არ არის. კერძოდ, შესრულებულია სათავე ნაგებობის მშენებლობა, წყლის მილების ნაწილი მოწყობილია გარკვეულ უბნებში, თუმცა სათავე ნაგებობაზე დაერთებული არ არის, ხოლო მილების დარჩენილი ნაწილი გამოუყენებელი და დასაწყობებულია. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ საკურწეს, წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტმა დახარჯა, სულ 112.2 ათასი ლარი, მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება.

მოსახლეობის წყლით მომარაგება წარმოადგენს მნიშვნელოვან საჭიროებას, შესაბამისად ჭიათურის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო სამუშაოები დაეგეგმა ისე, რომ უზრუნველყო პროექტის დასრულება. მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემების მოწყობის

¹³ SPA160013116. ხელშეკრულება №87.

სამუშაოები დაგეგმა არასათანადოდ, ვერ გაითვალისწინა ისეთი ფაქტორები, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა პროექტის წარმატებით დასრულებისათვის. წყლის სისტემის მოსაწყობად შესყიდული მასალების გამოყენება მოსახლეობამ ვერ შეძლო, ხოლო მუნიციპალიტეტს საჭირო ღონისძიებები სამუშაოების დასასრულებლად არ განუხორციელებია. შედეგად პროექტი დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს მისაღები სიკვითით.

წისქვილის მშენებლობა

2016 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ ჯოყოეთში წისქვილის მშენებლობისათვის შეიძინა 3.2 ათასი ლარის მასალები. აღნიშნული მასალები მერიამ გადასცა სოფლის მოსახლეობას, რომლებსაც საკუთარი ძალებით უნდა შეესრულებინათ დაგეგმილი პროექტი. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ვალდებული იყო დაეწესებინა კონტროლი შესყიდული მასალების დროულ გამოყენებასა და პროექტის დასრულებაზე.

აუდიტის ჯგუფმა 26 მარტს, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ წისქვილის მშენებლობა დაუსრულებელია. 2016 წელს შეძენილი მასალები გამოუყენებელი და დასაწყობებულია.

სურათი №3. სოფ. ჯოყოეთში წისქვილის მშენებლობა



აღსანიშნავია, რომ წისქვილის მშენებლობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტმა დაიწყო 2014 წელს, რისთვისაც 2014-2016 წლებში მუნიციპალიტეტმა სულ დახარჯა 5.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო შენობის დასასრულებლად საჭირო სამუშაოების განხორციელება, მასალები დასაწყობებულია და მოსახლეობა მატერიალური სიკვითით ვერ სარგებლობს.

სპორტული მოედნების მოწყობა

2016 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ ხალიფაურისა და მღვიმევის სპორტული მოედნების (ფეხბურთის სტადიონი) კეთილმოწყობისათვის შეიძინა სამშენებლო მასალები, საერთო ღირებულებით - 4.1 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა 28 მარტს, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები არ არის შესრულებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ხალიფაურში, სპორტული მოედნისათვის განკუთვნილ ადგილზე ამოთხრილია ორმო, რის გამოც ვერ მოხერხდა სამუშაოების შესრულება. დაგეგმვაში არსებული ხარვეზების გამო სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები პროექტით გათვალისწინებულ ადგილზე ვერ განხორციელდება დამატებითი ფინანსური რესურსის გარეშე. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო პროექტის დაგეგმვისა და შესრულების პროცედურები წარმართა იმგვარად, რომ მიღწეულიყო საბოლოო მიზნები. შედეგად, პროექტი დაუსრულებელია, შეძენილი მასალები დასაწყობებულია და მოსახლეობა მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს.

სურათი №4. სოფ. მღვიმევი



სურათი №5. სოფ. ხალიფაური



საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მშენებლობა

2016 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ ხვაშითში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მოსაწყობად, გადაიხადა 1.7 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, ირკვევა რომ თავშეყრის ადგილის მშენებლობა დასრულებული არ არის.

მუნიციპალიტეტს სამუშაოების დასასრულებლად დამატებითი ღონისძიებები არ დაუგეგმავს.

სურათი №6. სოფ. ხვაშითში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მშენებლობა



საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 212.0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დაგეგმილი იყო 242 ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება. 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, გამოუყენებელია 37 ობიექტის სარეაბილიტაციოდ შეძენილი პროექტები, ღირებულებით 66.4 ათასი ლარი. შეძენილი პროექტები ითვალისწინებდა ბაღების, საყრდენი კედლების, სკვერის, შიდა ეზოების, სანიაღვრე არხების, ტროტუარების, გზების რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შეძენილი პროექტების გამოყენება ახლო მომავალში არ არის დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლის განხორციელებისთვის შესყიდულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარმოადგენს მოსახლეობის მნიშვნელოვან საჭიროებას. შესაბამისად ჭიათურის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო განეხორციელებინა აღნიშნული პროექტები.

სარიტუალო დარბაზების მშენებლობა

ჭიათურის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯა სარიტუალო დარბაზების მშენებლობისთვის, რომელშიც 2016 წელს გადახდილია 390.4 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები¹⁴. შედეგად, გამოვლინდა, რომ 20 სარიტუალო დარბაზი¹⁵, რომელშიც 2016-2017 წლებში გადახდილია 216.7 ათასი ლარი, დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სარიტუალო დარბაზის მშენებლობა დაწყებულია 2016 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში მათ მშენებლობაზე დახარჯულია 406.9 ათასი ლარი.

სურათი №7. სოფ. პერევისა



სურათი №8. სოფ. კაცხი



სურათი №9. სოფ. ზედა რგანი



სურათი №10. სოფ. მეჩხეთური



მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა სარიტუალო დარბაზების მშენებლობისთვის გადაიხადა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, შენობები უფუნქციოა და მის დასასრულებლად საჭირო სამუშაოების ჩატარება არც მომდევნო წელს არ არის დაგეგმილი.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, წყლის სისტემების, წისქვილის, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის და სარიტუალო დარბაზების

¹⁴ შესრულებული სამუშაოები დათვალიერებულია 2018 წლის 9, 26, 27, 28 მარტს.

¹⁵ კაცხი, მღვიმევი, ზედა რგანი, თაბაგრები, პერევისა, ვაჭევი, ჭილოვანი, ჭბილარი, შუქრუთი, მანდაეთი 2 დარბაზი, მეჩხეთური 2 დარბაზი, ითხვისი 2 დარბაზი, მერევი, ნიგოზეთი, ნავაძეთი, მორძგეთი, დარკვეთი.

დასრულება ვერ მოხერხდა რადგან, გამოყოფილი ფინანსური რესურსი არ იყო საკმარისი, ასევე მოსახლეობამ ვერ უზრუნველყო მათთვის გადაცემული მასალებით დაგეგმილი სამუშაოების შესრულება.

არასაკმარისი ფინანსური რესურსები არ შეიძლება ჩაითვალოს პროექტების წარმატებით დაუსრულებლობის ობიექტურ მიზეზად, რადგან მუნიციპალიტეტს დაგეგმვის ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტების რეალური საჭიროება, ღირებულება და დაფინანსების წყარო. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით, 2016 წლის დასაწყისში ერიცხებოდა 1 331.9 ათასი ლარი, 2017 წლის დასაწყისში 1 119.5 ათასი ლარი და 2017 წლის ბოლოს - 3 221.0 ათასი ლარი. პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე შეეძლო აღნიშნული ფინანსური რესურსი მიემართა სამუშაოების დასასრულებლად.

მუნიციპალიტეტის განმარტება, რომლის მიხედვითაც მოსახლეობამ ვერ უზრუნველყო მათთვის გადაცემული მასალებით დაგეგმილი სამუშაოების შესრულება, ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს პროექტების დაუსრულებლობის ობიექტურ მიზეზად. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული აქტივების ეფექტიანი გამოყენება, უნდა დაეწესებინა სათანადო კონტროლი და ზედამხედველობა მოსახლეობისათვის გადაცემული მასალების დროულ გამოყენებაზე.

მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ სამუშაოებში 2016-2017 წლებში სულ გადაიხადა 381.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროექტის მშენებლობა დაწყებული იყო 2016 წლამდე, რომელშიც სულ გადახდილი იყო 408.9 ათასი ლარი¹⁶. ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს გამოუყენებელი და დასაწყობებული აქვს 744.1 ათასი ლარის მასალები. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების შესასრულებლად ჯამში გადაიხადა 1 534.0 ათასი ლარი, სამუშაოები დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს მისაღები სიკეთით.

გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს შესყიდული და გამოუყენებელი აქვს 66.4 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები არ განხორციელებულა და შესაბამისად მასში გადახდილი თანხა წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის

¹⁶ სარიტუალო დარბაზებისა და წისქვილის მშენებლობა დაიწყო 2016 წლამდე პერიოდში.

წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მუნიციპალიტეტმა აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე დასაწყობებული მასალები. შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლოატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს მათი გამოყენების მიმართულებები. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

3.2 გზის რეაბილიტაცია

სოფელ ზოდის გზის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას მის საკუთრებაში არსებული ქონება, ამ მიზნით უნდა შეისწავლოს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა და გამოავლინოს დაზიანებული ობიექტები. დაზიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს შესრულებული სამუშაოების უხარისხობით ან არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მიზნით, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადას. აღნიშნულ პერიოდში შემსყიდველს შეუძლია მიმწოდებელს მოსთხოვოს ხარვეზების გამოსწორება მისივე ხარჯებით. ობიექტის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა შპს „გლ ინვესტისაგან“ შეისყიდა სოფელ ზოდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 978.8 ათასი ლარი¹⁷. მუნიციპალიტეტმა ინსპექტირების ჯგუფისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ჩაიბარა და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა 2018 წლის 9 მარტს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სოფელ ზოდში გზის ზოგიერთი მონაკვეთი დაზიანებულია, აღენიშნება ბზარები და ჩამოშლილია სავალი გზის გვერდითი ნაწილები.

¹⁷ ხელშეკრულება №49

სურათი №11. სოფელ ზოდის გზა



აღსანიშნავია, რომ დაზიანების დროს შესყიდულ ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებშიც მიმწოდებელი ვალდებული იყო გამოესწორებია ყველა ხარვეზი, გარდა მექანიკური დაზიანებისა. მუნიციპალიტეტს დაზიანების გამოსასწორებლად საგარანტიო ვადებში მიმწოდებლისათვის არ მიუძღრათავს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წელს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულდა ხარისხიანად. 2017 წლის ბოლოს სოფელ ზოდში მერის წარმომადგენლის სიტყვიერი ინფორმაციით დაზიანდა და ნაწილობრივ ჩაიქცა გზის საფარი, აგრეთვე ჩამოიშალა გზის გვერდითი ნაწილები. აღნიშნულის საფუძველზე მერიის შესაბამისმა სამსახურმა ადგილზე დაათვალიერა სოფელ ზოდის გზა. მათი განმარტებით დაზიანებები გამოიწვია მანგანუმის მიწისქვეშა გამომუშავებამ, ხოლო გზის სავალი ნაწილების გვერდულები დაზიანებულია მძიმეწონიანი ტრანსპორტის მოძრაობის შედეგად.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მოსაზრებით, სამუშაოები დაზიანდა არა უხარისხობით არამედ კერძო კომპანიის მიერ მანგანუმის მიწისქვეშა გამომუშავებით. მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტმა დოკუმენტურად ვერ დაადასტურა მოითხოვა თუ არა ზარალის ანაზღაურება მანგანუმის მომპოვებელი კომპანიისაგან.

სოფელ ზოდის გზაზე წარმოქმნილი დაზიანებების გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხი ან გზის არასწორი ექსპლუატაცია. უხარისხობის მიზეზით, გზის დაზიანების შემთხვევაში ჭიათურის მუნიციპალიტეტს, ხარვეზის გამოსასწორებლად საგარანტიო ვადაში უნდა მიემართა მიმწოდებლისთვის. ხოლო არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტს უნდა გამოევიდინა გზის დაზიანების რეალური მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. შედეგად, სოფელ ზოდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ერთ მონაკვეთზე დაზიანებულია და მოსახლეობას მიეწოდება ხარვეზებით.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა (პასუხისმგებელმა პირებმა) შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროექტების ჩაბარებასა და მის სწორ ექსპლოატაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას მის საკუთრებაში არსებული ქონება და ამ მიზნით უნდა შეისწავლოს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

მემორიალი-რგანი-ხრეთის გზის რეაბილიტაცია

2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა განახორციელა მემორიალი-რგანი-ხრეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯამური ღირებულებით 1 179.1 ათასი ლარი¹⁸. სამუშაოების განსახორციელებლად მერიამ ტენდერის გზით 30 მარტსა და 2 სექტემბერს ხელშეკრულებები გაუფორმა შპს „საპოვნელა“-ს. მუნიციპალიტეტმა ინსპექტირების ჯგუფისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ჩაიბარა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა 2018 წლის 26 მარტს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ მემორიალი-რგანი-ხრეთის გზის ზოგიერთი მონაკვეთი დაზიანებულია. კერძოდ, გზის მონაკვეთზე გარკვეული ნაწილი ჩავარდნილია და აღენიშნება ბზარები.

სურათი №12. მემორიალი-რგანი-ხრეთის გზა



აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მემორიალი-რგანი-ხრეთის გზის მონაკვეთზე ჩატარებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ

¹⁸ ხელშეკრულება №57, №151

აღნიშნული გზის მონაკვეთის ორივე მხარე მეწყრულია. იმავე დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ მეწყრის ზემოქმედების შედეგად, გზის ვაკისის უფრო მეტად დაწევის შემთხვევაში საჭირო გახდება მისი აღდგენა ბალასტის შეტანით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა 2017 წელს¹⁹ აღმოაჩინა მემორიალი-რგანი-ხრეთის გზაზე არსებული დაზიანებები. მუნიციპალიტეტმა ხარვეზების გამომწვევ მიზეზად მიიჩნია აღნიშნულ მონაკვეთზე მეწყრული ზონის არსებობა. საკითხის გამოკვლევის მიზნით, მიმართა რეგიონალური განვითარების ფონდს და მოითხოვა სპეციალისტების მიერ მდგომარეობის შესწავლა. მიმართვის საფუძველზე საკითხი შეისწავლა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელმაც გზის დაზიანების მიზეზად დაადგინა მეწყრული ზონის არსებობა.

მემორიალი-რგანი-ხრეთის გზის გარკვეული მონაკვეთები მნიშვნელოვნად დაზიანებულია და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს პრობლემის მოგვარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

3.3 გზების მოხრეშვითი სამუშაოები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვა უნდა განახორციელოს სათანადო დაგეგმვისა და შესაბამისი მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, რაც განაპირობებს პროექტის წარმატებით დასრულებას.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის 27 ოქტომბერს²⁰ და 2 ნოემბერს²¹ ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა შპს „არტ მშენთან“ საერთო ღირებულებით 37.2 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის 20 სოფელში შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოების შესრულებას. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში ინერტული მასალის ფასი არ იყო გათვალისწინებული, ვინაიდან მიმწოდებელს უნდა გამოეყენებინა მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული კარიერის მასალა. ამასთან, ხარჯთაღრიცხვაში არ იყო მითითებული ინერტული მასალის ფრაქციის ზომა. შედეგად, მიმწოდებელმა 10 სოფელში შეიტანა არაგონივრულად დიდი ფრაქციის ინერტული მასალა (ქვის ლოდები), ხოლო დანარჩენ სოფლებში სამუშაოები არც დაწყებულა. შესრულებული სამუშაოები, უხარისხობის

¹⁹ ივლისი-აგვისტოს პერიოდი.

²⁰ ხელშეკრულება №248.

²¹ ხელშეკრულება №258.

მიზეზით მუნიციპალიტეტს არ ჩაუბარებია, შესაბამისად არც თანხაა გადახდილი, ხოლო ხელშეკრულებების მოქმედება შეწყვეტილია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა ისეთი სამუშაოების შესყიდვაზე, რომელიც არ იყო სათანადოდ დაგეგმილი. შედეგად, არასწორმა დაგეგმვამ გამოიწვია სამუშაოების შესრულება უხარისხო და შეუსაბამო მასალით.

აღსანიშნავია, რომ საკითხზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, კერძოდ, მიმწოდებელი ითხოვს შესრულებულ სამუშაოზე თანხის ანაზღაურებას. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტს ხელშეკრულებით არ ჰქონდა განსაზღვრული ინერტული მასალის ფრაქცია, არსებობს რისკი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტს დაეკისროს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა არ აქვს გადახდილი და სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტები არ გაფორმებულა, სამუშაოები შეუსრულებელია, შედეგად სოფლის გზებზე არსებული პრობლემა მოუგვარებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ სიკეთით, რომელიც უნდა მიეღო გზის რეაბილიტაციის შედეგად. აგრეთვე არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტს მოუწევს თანხის გადახდა მიმწოდებლისათვის.

საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა დაწვრილებით შეისწავლოს აღნიშნული საკითხი, დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

სურათი №13. სოფელ ხალიფაურის შიდა გზის მოხრეშვა



3.4 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა

აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულის განსაზღვრა მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემის - ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით, ასევე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შპს „ტყვიავისაგან“ შეისყიდა ჭიათურაში მდებარე პირველი, მეორე, მეოთხე და მეშვიდე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 374.2 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, პროექტი ჩაიბარა ინსპექტირების ჯგუფმა, რითაც დაადასტურა სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზა განხორციელებულია მხოლოდ მოცულობებზე, ხოლო ხარისხი შემოწმებულია ვიზუალური დათვალიერებით.

აუდიტის ჯგუფმა 2018 წლის 7 მარტს ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი შესრულებულია უხარისხოდ. საბავშვო ბაღების ოთახების უმრავლესობაში კედლებიდან ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი, დაზიანებულია იატაკი და სხვა. მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფმა ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მერიამ შესრულებული სამუშაოების ხარისხი ვერც ექსპერტიზის დასკვნით დაადგინა, რადგან ექსპერტიზა ჩატარებულია მხოლოდ მოცულობებზე და არ არის შესწავლილი სამუშაოების ხარისხი. კონტროლის მექანიზმში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება.

სურათი №14. საბავშვო ბაღი №1, №2, №4, №7



აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. საბავშვო ბაღებზე არსებული დაზიანებები შესაძლებელია წარმოშობილი იყოს, როგორც საგარანტიო პერიოდში, ასევე მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. მუნიციპალიტეტი არ ახორციელებდა საბავშვო ბაღების მდგომარეობის მონიტორინგს და არ ფლობდა ინფორმაციას დაზიანებების წარმოშობის პერიოდის შესახებ. შესაბამისად არ მიუმართავს მიმწოდებლისათვის ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით.

საბავშვო ბაღებში არსებულ დაზიანებებზე ინფორმაციის უქონლობა არ ათავისუფლებს მუნიციპალიტეტს პასუხისმგებლობისაგან. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაეწესებინა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, ეწარმოებინა მუდმივი მონიტორინგი, დროულად გამოეცვლინა ხარვეზები და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით.

ამდენად, მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარება და

დაზიანებების გამოვლენა. შედეგად საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 347.2 ათასი ლარი ნაწილობრივ დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დაინერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ამასთან მნიშვნელოვანია დაინერგოს შესრულებულ პროექტებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

4. შესყიდვების მართვა

4.1 სამუშაოების დასრულების ვადის უსაფუძვლო გაზრდა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებით უნდა განსაზღვროს სამუშაოების დასრულების გონივრული ვადა. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ ფორსმაჟორული სიტუაციის არსებობისას, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელი უნდა დაჯარიმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის შესაბამისად. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, დასარიცხი სანქციის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 %-ს.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებთან გააფორმა 9 ისეთი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, მერია მიმწოდებლებს უხანგრძლივებდა სამუშაოების შესრულების ვადებს და არ იყენებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 7 შემთხვევაში²² ხელშეკრულების პირობა ითვალისწინებდა რამდენიმე ობიექტზე სამუშაოების შესრულებას. შესწავლით ირკვევა, რომ სამუშაოების დროულად დასრულებისათვის ხელის შემშლელი მიზეზი არსებობდა მხოლოდ ერთ ობიექტზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გაუხანგრძლივა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ობიექტზე. გარდა ამისა 2 შემთხვევაში²³ მიმწოდებლებზე ვადა გაგრძელებულია ასევე არაობიექტური მიზეზებით. კერძოდ:

- შპს „გოლდ ენდ ბრო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება №132 ითვალისწინებდა 7 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთი ობიექტი მდებარეობდა მიუვალ ადგილზე და მასალების შეზიდვა ხდებოდა ხელით, რაც აფერხებდა სამუშაოების დროულ დასრულებას. აღნიშნული მუნიციპალიტეტს წინასწარ შეეძლო გაეთვალისწინებინა. ვადა გადაწეულია 7-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.4 ათას ლარს.

²² 2016 წლის ხელშეკრულება №132, №123, №134, №130; 2017 წლის ხელშეკრულება №214, №206, №191

²³ 2016 წლის ხელშეკრულება №128. 2017 წლის ხელშეკრულება №185.

- შპს „გოლდ ენდ ბრო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება №123 ითვალისწინებდა 10 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ სოფელში მიმდინარეობდა საშემოდგომო სამუშაოები და პროექტის განხორციელება ხელს შეუშლიდა მოსახლეობას მოსავლის დაბინავებაში. აღნიშნული მუნიციპალიტეტის წინასწარ შეეძლო გაეთვალისწინებინა ვადა გადაწეულია 10-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.8 ათას ლარს.
- ი/მ “შიო გაფრინდაშვილი“-თან გაფორმებული ხელშეკრულება №134 ითვალისწინებდა 3 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ ობიექტზე საჭირო გახდა იატაკის მოწყობისათვის დამატებითი კერამიკის ფილების შეძენა. ვადა გადაწეულია 3-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 1.9 ათას ლარს.
- ი/მ “შიო გაფრინდაშვილი“-თან გაფორმებული ხელშეკრულება №130 ითვალისწინებდა 3 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ ობიექტზე მოსახლეობა ითხოვდა შენობის ნაწილობრივ გადახურვას, საბოლოოდ შეთანხმება მიღწეული იქნა მთლიან გადახურვაზე. ვადა გადაწეულია 3-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 1.3 ათას ლარს.
- შპს „გრემი 2012“-თან გაფორმებული ხელშეკრულება №216 ითვალისწინებდა 3 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ ობიექტზე საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების განხორციელება. ვადა გადაწეულია 3-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.9 ათას ლარს.
- შპს „გრემი 2012“-თან გაფორმებული ხელშეკრულება №214 ითვალისწინებდა 2 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ ქუჩაზე საყრდენი კედლის მოსაწყობად სამშენებლო მასალების აზიდვა განხორციელდა ხელით, რამაც შეაფერხა სამუშაოების დასრულება. ვადა გადაწეულია 2-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.6 ათას ლარს.
- შპს „გოლდ ენდ ბრო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება №191 ითვალისწინებდა 8 ობიექტის რეაბილიტაციას. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ ობიექტის სახურავთან ახლოს გადიოდა მაღალი ძაბვის კაბელები, რომლის გადატანას ახორციელებდა ენერგო-პრო ჯორჯია და

ხელს უშლიდა მიმწოდებელს სამუშაოების შესრულებისას. ვადა გადაწეულია 8-ვე ობიექტზე. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 1.5 ათას ლარს.

- შპს „გოლდ ენდ ბრო“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება №128. მიწოდების ვადა გადაწეულია შემდეგი მიზეზით: საჭირო გახდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, თუმცა არსებითად არ შეცვლილა სამუშაოები. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.4 ათას ლარს.
- შპს „გოლდ ენდ ბრო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება №185. ვადა გადაწეულია მიმწოდებლის მიზეზით, კერძოდ ქვეკონტრაქტორ კომპანიას დაუზიანდა თუჯის ჩამოსასხმელი საწარმო და შეკეთება საჭიროებდა გარკვეულ დროს. დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 0.5 ათას ლარს.

ამდენად მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკით მიმწოდებლებს არაობიექტური მიზეზებით უხანგრძლივდებათ მიწოდების ვადა, რაც ატარებს სისტემურ ხასიათს. მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ 9 შემთხვევაში არ გამოიყენა საჯარიმო სანქცია და ზიანი მიაღმა მის ინტერესებს, რის შედეგადაც მოსახლეობას დროულად ვერ მიეწოდა ინფრასტრუქტურული პროექტები, ხოლო მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებით 8.3 ათასი ლარის შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია №9: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით, გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შედეგად, დროულად მოხდება იმ პროდუქტის მიღება, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

4.2 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად²⁴, სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს,

²⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 3. 2015-2016 წლებში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციით.

შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში კომისია, მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

გამოვლენილი გარემოება 1: 2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა სოფელ თაბაგრების საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოაცხადა ტენდერი²⁵. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 31.7 ათას ლარს. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი 25.4 ათასი ლარი დააფიქსირა შ.პ.ს „ზმ ჯგუფმა“. პრეტენდენტს სისტემაში ატვირთული არ ქონდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს არ დააზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია და მიანიჭა დისკვალიფიკაცია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სატენდერო კომისიამ არ უნდა მიანიჭოს პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. შესაბამისად, სატენდერო კომისიამ ტენდერში მონაწილე შ.პ.ს „ზმ ჯგუფს“ კანონმდებლობის დარღვევით მიანიჭა დისკვალიფიკაცია.

დისკვალიფიკაციის შემდეგ, ტენდერში გაიმარჯვა და ხელშეკრულება გაუფორმდა ი/მ შიო გაფრინდაშვილს, თანხით 25.4 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ პრეტენდენტების შემოთავაზებული სატენდერო წინადადებები იდენტურია და მიღებული გადაწყვეტილებით შესყიდვის საგნის ღირებულება არ გაზრდილა, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონმდებლობა და დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიმართ გამოიყენა არასამართლიანი მიდგომა. არსებობს რისკი, რომ შესყიდვის პროცედურები მუნიციპალიტეტმა წარმართა ისე, რომ ტენდერში გაემარჯვა ი/მ შიო გაფრინდაშვილს.

გამოვლენილი გარემოება 2: 2016 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი თაბაგრებისა და ბერეთისას საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 124.5 ათასი ლარი²⁶. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 8 პრეტენდენტმა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე 3 პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა, ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო. სატენდერო კომისიის მიერ მესამე

²⁵ spa 160002147

²⁶ spa 160007555

პრეტენდენტის, ი/მ „სიმონ კაპანაძეს“ დისკვალიფიკაცია განხორციელდა არასწორად. კერძოდ, პრეტენდენტმა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს, დაარიცხა მუშახელის ძირითადი ხელფასის 5%. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა დისკვალიფიკაცია, იმ მიზეზით, რომ არ იყო დაცული საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები²⁷.

საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, განსაზღვრულია ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ზღვრული ოდენობები. აღნიშნული წესით, ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებზე იანგარიშება მუშახელის ძირითადი ხელფასიდან და შეადგენს მის 75%-ს. წესის დაცვა სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, სამშენებლო სამუშაოებზე საწყისი სავარაუდო ფასის განსაზღვრისას, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში. ასევე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დაანგარიშების დროს.

იქედან გამომდინარე, რომ მთავრობის აღნიშნული დადგენილების დაცვა არ ევალუბოდა პრეტენდენტს და ამასთან ზედნადები ხარჯი დაანგარიშებული ჰქონდა, განსაზღვრულ პროცენტულ ოდენობაზე არსებითად დაბალი პროცენტით, სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია ი/მ „სიმონ კაპანაძეს“ მიანიჭა არასწორად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაუფორმდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს ი/მ „შიო გაფრინდაშვილს“, თანხით 99.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა 4.6 ათასი ლარით აღემატება სატენდერო კომისიის მიერ არასწორად დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ი/მ „სიმონ კაპანაძე“ მიერ შემოთავაზებულ ფასს. არსებობს რისკი, რომ შესყიდვის პროცედურები მუნიციპალიტეტმა წარმართა ისე, რომ ტენდერში გაემარჯვა ი/მ შიო გაფრინდაშვილს. შედეგად, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონმდებლობა, დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიმართ გამოიყენა არასამართლიანი მიდგომა და სამუშაოების შესყიდვაზე გასწია 4.6 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.

რეკომენდაცია №10: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი, არადისკრიმინაციული მიდგომა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა დაწერგოს კონტროლის

²⁷ „ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

დამატებითი მექანიზმები. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

4.3 საგარანტიო ვადის ცვლილება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია 200.0 ათას ლარს ზემოთ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მოითხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტირების მექანიზმის მთავარი მიზანს წარმოადგენს, მიმწოდებელმა დროულად და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს გარანტიით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელს უხანგრძლივდება სამუშაოების დასრულების პერიოდი, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ხელშეკრულების ვადის ცვლილების შესაბამისად მოითხოვოს გარანტიის მოქმედების ვადის ცვლილება.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ უსახელოში წყალმომარაგების სისტემის აღდგენის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაუფორმა შპს „აკვედუკ 07“-ს, ღირებულებით - 284.4 ათასი ლარი²⁸. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2017 წლის 19 აგვისტომდე. წარმოდგენილი მონაცემებით, ხელშეკრულებაში ორჯერ შევიდა ცვლილება და სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 20 ნოემბერი.

სატენდერო პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს წარმოდგენილი ქონდა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, თანხით 22.8 ათასი ლარი²⁹. გარანტიის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2017 წლის 23 ოქტომბრამდე. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს არ მოთხოვა საბანკო გარანტიის ვადის ცვლილება.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2017 წლის 19 დეკემბერს მიმწოდებელს შეუწყდა ხელშეკრულება, რადგან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 284.4 ათასი ლარიდან შეასრულა მხოლოდ 28.7 ათასი ლარის სამუშაოები. გამომდინარე იქედან, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა გასული იყო, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ვერ

²⁸ 20.06.2017 წ. ხელშეკრულება №99. NAT170005251.

²⁹ სახელშეკრულებო თანხის 8%.

მოითხოვა საბანკო გარანტია და დაკარგა 22.8 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს ვადაგადაცელებისათვის დაერიცხა პირგასამტეხლო 8.2 ათასი ლარი, რომელიც გადახდილია.

რეკომენდაცია №11: მუნიციპალიტეტმა დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი გარანტიების მოქმედებების ვადების აღრიცხვას. მნიშვნელოვანია, გარანტიის მოქმედების ვადა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას. მიმწოდებლისათვის სამუშაოების დასრულების ვადის გახანგძლივების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა მოითხოვოს გარანტიის მოქმედების ვადის გაზრდა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას მუნიციპალიტეტმა არ დაკარგოს მისაღები შემოსავლები.

5. იურიდიული პირების სუბსიდიით დაფინანსება

2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში იმყოფებოდა 3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 10 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ) და ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). აღნიშნულ დაწესებულებებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიური დაფინანსების სახით მიღებული აქვთ 12 168.8 ათასი ლარი³⁰, რაც ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 34%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი (77%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

კრიტერიუმი: სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. სუბსიდიის დამტკიცებისას გაანგარიშებული უნდა იყოს მისი ოდენობა შესასრულებელი სამუშაოებისა და საქმიანობის გათვალისწინებით. სუბსიდიის მუხლში აღირიცხება ორგანიზაციებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები.

გამოვლენილი გარემოება: სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. მაგალითად, ა(ა)იპ "ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრს", 2016-2017 წლებში სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 2 570.0 ათასი ლარი. რომელიც მუნიციპალიტეტში ახორციელებს შემდეგ სამუშაოებს; დაგვა-დასუფთავების ორგანიზება, ნარჩენების შეგროვების, გაუვნებელყოფისა და ტრანსპორტირების ორგანიზება, ნაგავსაყრელის მართვის ორგანიზება, სანიაღვრე არხებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების გაწმენდისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზება, ლიფტების მოვლა-პატრონობა, სკვერების, გაზონებისა და ბაღების მოვლა-პატრონობისა და გამწვანების ორგანიზება, გარე განათების მოვლა-პატრონობის ორგანიზება და სხვა. ა(ა)იპ-ს სუბსიდიის მისაღებად, მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვს მოთხოვნა, რომელშიც არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ საქმეზე, რომელ პერიოდში რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს; არ არის შედგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი; არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

³⁰ 2016 წელს - 5973.0 ათასი ლარი, 2017 წელს - 6195.8 ათასი ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სუბსიდია გასცა შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინების გარეშე. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა სუბსიდიური დაფინანსებისას, გათვალისწინოს შესასრულებელი სამუშაოები და კონკრეტული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს გაცემული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის დასაბუთებას.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების უმრავლესობა წარმოადგენენ იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულებებს და ახორციელებენ ერთიდაიმავე საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ა(ა)იპ-ების ადმინისტრაციულ ხარჯებს. გარდა ამისა, ა(ა)იპ-ებში არსებული პროფილის მსგავსი მიმართულებები, ასევე ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ში.

ცხრილი №4. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული მსგავსი პროფილის იურიდიული პირები

№	პროფილი	იურიდიული პირი	დასახელება
1	მუსიკა	ა(ა)იპ	ჭიათურის მუნიციპალიტეტის №1 სამუსიკო სკოლა
		ა(ა)იპ	ჭიათურის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა
		სსიპ	ჭიათურის რაიონულ საგანმანათლებლო და კულტურულ -შემოქმედებით ცენტრი
2	სპორტი	ა(ა)იპ	ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა
		ა(ა)იპ	სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ჭიათურის რაგბის სპორტული სკოლა
		ა(ა)იპ	ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა
	ხელოვნება	ა(ა)იპ	ჭიათურის სახვითი ხელოვნების სკოლა

3		სსიპ	ჭიათურის რაიონულ საგანმანათლებლო და კულტურულ -შემოქმედებით ცენტრი
---	--	------	---

აუდიტის ჯგუფმა მოახდინა იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულებების, ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების ხარჯის დაანგარიშება. 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ა(ა)იპ-ების ადმინისტრაციული ხარჯი, სულ დააფინანსა 240.0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რამდენიმე იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულების საჭიროება. შედეგად, ამ დაწესებულებებზე ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა, შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც არაპროდუქტიულად გაწეული ხარჯი.

რეკომენდაცია №12: მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის საკუთრებაში არსებული იდენტური ფუნქციური დატვირთვის მქონე დაწესებულებების საქმიანობა და განსაზღვროს ფინანსური რესურსების დაზოგვით შესაძლებელია თუ არა იგივე შედეგის მიღწევა.

6. სოციალური პროგრამები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად³¹, მუნიციპალიტეტს არ შეუძლია დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება. კონკრეტულ მუხლში არასაკმარისი ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში, ხარჯის გაწევის საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოახდინოს ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტმა 2 352.9 ათასი ლარით დააფინანსა სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დახმარებას უწევს სხვადასხვა დაავადებების მქონე ან/და სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს. თანხის გაცემა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით შემუშავებული წესის მიხედვით. მუნიციპალიტეტი ასევე უფლებამოსილია გასცეს საგარანტიო ბარათი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებზე, ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურების ღირებულების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში გაწეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ასახულია ცხრილში №5.

ცხრილი №5. სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები (ათასი ლარი).

ღონისძიება	2016 წელი	2017 წელი	ჯამი
ავადმყოფთა სოციალური დაცვა	700.9	791.6	1492.5
დაკრძალვის ხარჯი	1.8	2.6	4.4
უფასო სასადილო	74.4	84.8	159.2
მოსახლეობის სოციალური დაცვა	38.4	40.4	78.8
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	238.8	156.4	395.2
სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	42.9	51.2	94.1
ომის ვეტერანთა დახმარება	63.7	65.1	128.8
ჯამი	1160.9	1192.1	2353.0

³¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 18, პუნქტი 1

2017 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ „ავადმყოფთა სოციალური დაცვის“ ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიუჯეტით გამოყოფილი ქონდა 791.6 ათასი ლარი, რომელიც სრულად გაიხარჯა. მუნიციპალიტეტმა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გადამეტებით, თანადაფინანსების მიზნით გასცა 913 ბენეფიციარის სამკურნალო, საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ხარჯების საგარანტიო წერილები, საერთო თანხით 118.3 ათასი ლარი. შედეგად, მუნიციპალიტეტმა საგარანტიო წერილებით, გადახდის ვალდებულება აიღო ისე რომ, ასიგნებით გათვალისწინებული თანხა სრულად ქონდა გახარჯული. ამდენად, სოციალური პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა 118.3 ათასი ლარით გადააჭარბა გამოყოფილ ასიგნებას.

რეკომენდაცია №13: მუნიციპალიტეტმა ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია უზრუნველყოს სხვადასხვა ორგანიზაციებზე გაცემული გარანტიების აღრიცხვა. ვალდებულების აღებამდე შეამოწმოს ფლობს თუ არა გარანტიის გასაცემად საკმარისი ფინანსურ რესურსებს. არასაკმარისი ფინანსური რესურსების შემთხვევაში, ხარჯის გაწევის საჭიროებიდან გამომდინარე დროულად მოახდინოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში ცვლილების შეტანა.

7. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი ტრანსფერები, მუნიციპალიტეტის მიერ უნდა იქნეს გამოყენებული მიზნობრივი დანიშნულებით. მუნიციპალიტეტი ვალდებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ამასთან, თანხების გამოყოფის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის გათვლებს და რეალურ საჭიროებას.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2017 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში დიდთოვლობისა და ძლიერი წვიმების გამო, სოფელ ხრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანდა საავტომობილო გზის მონაკვეთი, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე საყრდენი კედლები. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ფინანსური დახმარების გაწევის მოთხოვნით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა 2017 წლის 17 მარტს მიმართა საქართველოს რწმუნებულ-გუბერნატორს იმერეთის მხარეში³² და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს³³. წერილების შინაარსიდან გამომდინარე, სოფელ ხრეთის დაზიანებული გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა სასაფლაო და 100-მდე საცხოვრებელი სახლი. გზის დაზიანების გამო პარალიზებული იყო როგორც ტრანსპორტით, ასევე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება, შედეგად მოსახლეობა ვერ ახერხებდა სასაფლაომდე მისვლას. ამასთან, ქალაქის ტერიტორიაზე ჩამოშლილი საყრდენი კედლები საფრთხეს უქმნიდა 2 საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობას და საჭიროებდა უმოკლეს ვადებში შეკეთებას. წერილების მიხედვით, პრობლემის უმოკლეს ვადებში მოუგვარებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ფატალური შედეგის დადგომა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით³⁴, 2017 წლის 15 ივნისს ჭიათურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 150.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მდგომარეობა საჭიროებდა სასწრაფოდ გამოსწორებას, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტმა თანხის გამოყოფა მოითხოვა სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების უმოკლეს ვადაში მოგვარების მიზნით. არსებული რისკებისა და საფრთხეებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დროულად განეხორციელებინა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

³² 17.03.2017 №51/2767

³³ 17.03.2017 №51/2771

³⁴ 15.06.2017 №1213

და უმოკლეს ვადაში მოეგვარებინა წარმოქმნილი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების მოგვარება საჭიროებიდან გამომდინარე წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, მუნიციპალიტეტმა გამოყოფილი თანხით დაახლოებით ერთი წლის მანძილზე ვერ შეძლო სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება, თანხა გაუხარჯავია და ერიცხება ნაშთის სახით.

რეკომენდაცია №14: მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სათანადოდ განსაზღვროს თანხის გამოყოფის რეალური საჭიროება. იმ შემთხვევაში თუ სტიქიის შედეგების საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში სათანადო ღონისძიებების განხორციელება. ამ მიზნით, შეიმუშაოს სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს დროულად გამოასწოროს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები.

8. შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა. კონტროლისა და შიდა აუდიტის განყოფილების მიზანია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა; გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება; მოსალოდნელი დარღვევების, სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, რისკფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და მათი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს ჩატარებული აქვს 20 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. სამსახურის მიერ შედგენილი აუდიტის ანგარიშების ანალიზით ირკვევა, რომ 2016 და 2017 წლებში შემოწმებულ ერთიდაიმავე ობიექტებზე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაციები ანალოგიური ხასიათისაა. გარდა ამისა, 2017 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილია და გამოვლენილია დაუსრულებელი და უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ გარემოებებზე რეაგირება დღემდე არ განხორციელებულა.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები ვალდებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და დაეწესებინათ კონტროლი მათ დროულ შესრულებაზე, რაც არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია №15: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დროულ რეაგირებას და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯოს ეფექტიანად და კანონიერად. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

9. ქიათურის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქიათურის მუნიციპალიტეტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ 2013 წელს გამოვლენილ კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა და არ არის გამოსწორებული აუდიტის ანგარიშში ასახული შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანება:

2012 წელს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული შესყიდვისას დადებულია 2 ხელშეკრულება, ღირებულებით 3 817.4 ათასი ლარი. ანგარიშსწორება განხორციელდა ისე, რომ მიმწოდებლებს არ წარმოუდგენიათ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიშში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა
(წამყვანი აუდიტორი)

ნატალია საღარეიშვილი
(უფროსი აუდიტორი)

ირმა ხეცურიანი
(აუდიტორი)

ნინო ლალიძე
(უფროსი აუდიტორ-ასისტენტი)



